



## ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა სამუშაო ჯგუფთან შეხვედრა

**14 სექტემბერს, 10.30-16.00 საათზე,** ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ფსიქიკური ჯანდაცვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობასთან დაკავშირებით შექმნილ სამუშაო ჯგუფთან შეხვედრას გამართავს.

შეხვედრაზე ფსიქიკური ჯანდაცვის სისტემის განვითარების გრძელვადიან და მოკლევადიან ეტაპებს, აგრეთვე 2019 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სახელმწიფო პროგრამის ძირითადი პრიორიტეტებს განიხილავენ.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციისა (WHO) და ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის მონაცემებით (NIMH) მსოფლიოში მოზრილთა პოპულაციის  $\approx 3,3\%$ , ხოლო 18-25 ასაკის თითქმის  $6\%$ -ს მძიმე ფსიქიკური აშლილობა აღენიშნება. ამ მონაცემების გათვალისწინებით, საქართველოში მოსახლეობის 114 140 პირს (3%) მძიმე ფსიქიკური აშლილობა უნდა აღენიშნებოდეს, რომლებიც მკურნალობას სპეციალიზებულ ფჯ სერვისებში საჭიროებენ (დაავადებათა ეროვნული ცენტრის 2016 წლის მონაცემებით ფსიქიკური აშლილობის მქონე ოფიციალურად რეგისტრირებული პაციენტების რაოდენობა 102 977 პირია). დროის ნებისმიერ პერიოდში, ამ პირთა, არანაკლებ,  $4\%$ -ს, ანუ 4500 პირს მწვავე ან რეზისტენტული მდგომარეობა უვითარდება, რომელთა მკურნალობა მაღალი ან საშუალო ინტენსივობის სერვისებშია შესაძლებელი და ასეთ შემთხვევებში, ამბულატორიული მკურნალობა საკმარისი არ არის. საქართველოში ფ/ჯ სისტემის დეინსტიტუციონალიზაცია და სათემო სერვისების განვითარება ჯერ კიდევ დიდ პრობლემას წარმოადგენს.

შეხვედრის მონაწილეები ფსიქიატრებთან, ფსიქოლოგებთან და დარგის ექსპერტებთან ერთად იმსჯელებენ სამომავლოდ ფ/ჯ დეინსტიტუციონალიზაციის რეფორმის პროცესის დაჩქარებისათვის საჭირო ინტერვენციებზე, სათემო სერვისების განვითარებისკენ მიმართულ ღონისძიებებზე, აგრეთვე 2019 წელს განსახორციელებელ კონკრეტულ აქტივობებზე.

**მისამართი:** თბილისი, მყაშვილის ქ. 32-34 სასტუმრო „ბეტსი“

**საკონტაქტო პირები:**

საქართველოს პარლამენტის პრესცენტრი: მადონა ნოზაძე, 599-557978, [www.parliament.ge](http://www.parliament.ge)

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი: ელენე ჟორჟოლაძე 599 957740  
[www.elenezhorzholadze@gmail.com](mailto:www.elenezhorzholadze@gmail.com)

